საქართველო, თბილისი, 0177
გ. კარტოზიას ქ. 10

10 G. Kartozia Str.
0177, Tbilisi, Georgia

+ (995 32) 2 444 111
info@m2.ge | www.m2.ge

შპს ,,მ2 ნუცუბიძეზე 2''
,,m2 at Nutsubidze 2'' LLC
ს/კ 405374982 I/D

N20_P_N225 12 სექტემბერი, 2025 წელი

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, მე, **გურამ ახვლედიანი** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01033000211) მოქმედი, როგორც შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომრით: 405374982) დირექტორი (შემდგომში - მარწმუნებელი) უფლებამოსილებას ვანიჭებ **მარიამ ჭულუხაძეს** (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01019070369) (შემდგომში - რწმუნებული), რათა მან განახორციელოს შემდეგი ქმედებები მარწმუნებლის და კომპანიის სახელით:

- რწმუნებული უფლებამოსილია, წარმოადგინოს მარწმუნებელი და კომპანია, დაიცვას მარწმუნებლის და კომპანიის ინტერესები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ქ. #125ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.14.02.025.242; 01.14.02.025.244; 01.14.02.025.249) სამშენებლო განვითარებას.
- ამ მიზნით, რწმუნებული უფლებამოსილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებას/განაცხადებს (მათ შორის, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის ნებართვების მოპოვების (სამივე სტადია), პროექტების კორექტირების, მშენებლობის ნებართვების ვადების ცვლილების, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებისა და პირველი კლასის ობიექტების განთავსების თაობაზე განცხადებას), შეიტანოს, წარადგინოს/ატვირთოს (მათ შორის - ელექტრონულად) ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებში ყველა სახის განცხადება, განაცხადი, მითითება, დოკუმენტაცია; ჩაიბაროს/გამოიტანოს/გამოითხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წარადგინოს ნებისმიერი აუცილებელი დოკუმენტაცია, წერილები, აქტები, ბრძანებები, ხელი მოაწეროს განაცხადებს და სხვა საბუთებს,

გადაიხადოს ნებისმიერი მოსაკრებელი და ბაჟი, წარადგინოს მოსაკრებლისა და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

- აღნიშნული მინდობილობა ასევე გულისხმობს რწმუნებულის ნებისმიერ, ამ მინდობილობაში გაუთვალისწინებელი ქმედების უფლებამოსილებასაც, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად.

მინდობილობა ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „მ2 ნუცუბიძეზე 2“

დირექტორი

გურამ ახვლედიანი

